

29.07.15 №

ხელშეკრულების შესრულების  
საგარანტიო უზრუნველყოფა  
№BGMP0575/290715

გარანტი: სს „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია“, ს/კ 202906427  
პრინციპალი: შპს „ჯეუ გრუპი“ (ს/კ 205251537)  
ბენეფიციარი: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობა  
საგარანტიო თანხა: 7,998 (შვიდი ათას ცხრაას ოთხმოცდათვრამეტი) ლარი

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის 2015 წლის 17 ივლისს გაფორმდა №2.11.10/10/082 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, კოჯორში, იუნკერებისა და უძოს ქუჩის მონაკვეთების კეთილმოწყობის (კაპიტალური შეკეთების) სამუშაოების შესყიდვაზე (შემდგომ „ხელშეკრულება“), რომელიც ითვალისწინებს კონტრაქტის პირობების შესრულების გარანტიის წარმოდგენას, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ ზემოთ აღნიშნული გარანტია ამასთან დაკავშირებით ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტი და პასუხისმგებელი თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე 7,998 (შვიდი ათას ცხრაას ოთხმოცდათვრამეტი) ლარი და ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე.

მოთხოვნა ანაზღაურებაზე თქვენს მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს სათანადოდ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება მოთხოვნილი თანხა და ის გარემოება, რომლის გამოც მოხდა მოთხოვნის წარმოდგენა. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს საბანკო გარანტიის ასლი, და მოთხოვნაზე ხელმოწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2015 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულიდან გამომდინარე ნებისმიერი მოთხოვნა ან პრეტენზია ბანკის მიერ მიღებულ უნდა იყოს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე შემდეგ მისამართზე: სს „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია“, გ.ჭანტურიას ქ.№14, 0114 თბილისი, საქართველო.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:

- ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია;
- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით და/ან საბანკო გარანტიის ორიგინალის დაბრუნებით.

საბანკო გარანტიის გარშემო წამოჭრილი დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სავაჭრო ფინანსირების ჯგუფის უფროსი  
ლია ძნელაძე

